საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი

საბჭოთა კავშირის 1950
ევროპის 1962 წლის
წლის ჩემპიონი
ჩემპიონთა თასის
თბილისის "დინამოს"
მფლობელი "დინამოს"
ოსტატ კალათბურთელთა
ოსტატ კალათბურთელთა
გუნდი. სხედან
გუნდი. სხედან
(მარცხნიდან): ს.
(მარცხნიდან): ა. კილაძე,
თორთლაძე, გ. რუხაძე,
გ. შინაშვილი, ი.
ლ. ინნკიროველი, მ.
ნაზარაძე, ლ.
ქორქაშვილი; დგანან
ინწკრიველი; დგანან
(მარცხნიდან): გ.
(მარცხნიდან): რ.
ავალიშვილი
გოგელია, ა. სხირელი,
(მწვრთნელი), ო. ქორქია
ო. ქორქია (მწვრთნელი),
(გუნდის კაპიტანი), დ.
ვ. ალთაბაევი, ლ.
გოძიაშვილი, ნ.
მოსეშვილი, უ. ჯონსი
ჯორჯიკია, ვ. ჭღენტი, ჯ.
(""ფიბას" გენერალური
ნიჟარაძე.
მდივანი), ვ. უგრეხელიძე,

ა. ლეჟავა.

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი ვაჟ კალათბურთელთა გუნდი – თბილისის „დინამო" – შეიქმნა 1933 და თავიდანვე დაიმკვიდრა ადგილი სსრკ-ის საუკეთესო საკალათბურთო კლუბებს შორის. დინამოელთა ღირსებას ამ პერიოდში იცავდნენ: რ. მდივანი, შ. ყიასაშვილი, ვ. ციციშვილი, ლ. ფალავანდიშვილი, ა. წერეთელი, ვ. მდივანი და ა. კარპოვი.

მნიშვნელოვან წარმატებებს „დინამომ" მიაღწია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც გუნდში მოვიდნენ წამყვანი მოთამაშეები, პოპულარული კალათბურთელები: ო. ქორქია და ნ. ჯორჯიკია. ამ წლებში გ. ავალიშვილის ხელმძღვანელობით თბილ. დინამოელები სამჯერ გახდნენ სსრკ-ის ჩემპიონები (1950, 1953, 1954). 1968 გუნდი ერთხელ კიდევ გახდა სსრკ-ის ჩემპიონი. საკავშ. ჩემპიონატების პარალელურად „დინამოს" კალათბურთელები წარმატებით ასპარეზობდნენ სსრკ-ის თასის გათამაშებაშიც. მათ 4-ჯერ მოიპოვეს ეს საპატიო ჯილდო (1949, 1950, 1951, 1969).

თბილ. დინამოელებმა საკავშ. ჩემპიონატებზე (1947, 1960, 1961 და 1969) 4-ჯერ მოიპოვეს მე-2 ადგილი, ხოლო 1948, 1952, 1965, 1977 – მე-3 ადგილი. 1959 მათ გაიმარჯვეს სსრკ-ის ზამთრის პირველობაზე. თბილ. „დინამო" იყო პირველი გუნდი, რ-იც 1950 გახდა სსრკ-ის ჩემპიონი და მოიგო თასი; 1960 იყო ევრ. ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალისტი, 1969 – ევრ. ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალისტი. 1962 თბილ. „დინამომ" ჟენევაში ევრ. ჩემპიონთა თასი მოიპოვა, გუნდმა თანამიმდევრულად დაამარცხა რუმინეთის „კკა" ბუქარესტსა (77:76) და თბილისში (82:77), თურქ. „დარუშაფაქი" – სტამბოლსა (80:67) და თბილისში (84:48), მოსკ. „ცსკა" – მოსკოვსა (75:71) და თბილისში (77:66), ხოლო ფინალში – მადრიდის „რეალი" (90:83). გუნდის ღირსებას იცავდნენ: გ. მინაშვილი, რ. გოგელია, ვ. ალთაბაევი, ლ. მოსეშვილი, ა. ლეჟავა, ა. სხიერელი, ი. ხაზარაძე, ვ. უგრეხელიძე, ა. კილაძე, ლ. ინწკირველი, ა. პეტროვი (მწვრთნელი – ო. ქორქია).

დინამოელი კალათბურთელები რეგულარულად შეჰყავდათ სსრკის ნაკრების შემადგენლობაში. თითქმის ათი წლის განმავლობაში ნაკრების კაპიტანი იყო ო. ქორქია. ნაკრებში თამაშობდნენ აგრეთვე: ნ. ჯორჯიკია, გ. მინაშვილი, ზ. საკანდელიძე, ვ. უგრეხელიძე, ლ. მოსეშვილი, ა. სხიერელი, ა. ლეჟავა, მ. ქორქია, ნ. დერიუგინი. ამ შემადგენლობამ ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევრ. ჩემპიონატებზე მოიპოვა 16 ოქროს, მრავალი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. გუნდის წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საბჭ. კავშირისა და საქართვ. დამს. მწვრთნელებს: გ. ავალიშვილს, შ. დიასამიძეს, ო. ქორქიას, ლ. ინწკირველს, ლ. მოსეშვილს, მ. კეკელიძეს, გ. მეუნარგიას.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თბილ. „დინამო" მონაწილეობს ქვეყნის ჩემპიონატში. კლუბი გახდა საქართვ. პირველი ჩემპიონი (1991), კიდევ ორჯერ

მოიპოვა საქართვ. სუპერლიგის ჩემპიონის ტიტული (2003; 2014) და დაეუფლა საქართვ. თასს (2004).